

## ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის თავმჯდომარის ვიზიტი

2009 წლის 16 ნოემბერს გაიმართა ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის თავმჯდომარე ინგუნა სუდრაბასა და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილის შეხვედრა.

ქ-ნ ინგუნა სუდრაბას ვიზიტის მიზანი იყო: ორმხრივი სამომავლო თანამშრომლობა და აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგიის შემუშავება, დანერგვა და გარე აუდიტის განვითარების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხები ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება.

ვიზიტის პარალელურად ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის საბჭოს ორი წევრი საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ლატვიის მხარემ აუდიტის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფს თავისი გამოცდილება გაუზიარა.